ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.07.2015
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/15

შეკითხვა:

ადვოკატმა „დ“-მ გაუწია იურიდიული მომსახურება კლიენტ „ა“-ს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავის თაობაზე. მოგვიანებით, კლიენტი „ა“ წავიდა საზღვარგარეთ და ადვოკატ „დ“-ს სთხოვა მისი საქმე ეწარმოებინა და მიეწოდებინა მისთვის ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატმა „დ“-მ ერთხელ გაუგზავნა წერილობით ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ, თუმცა შედგომ შეწყვიტა ინფორმაციის მიწოდება და აღარც კლიენტი უკავშირდებოდა მას. მოგვიანებით, კლიენტი დაუკავშრდა ადვოკატ „ა“-ს და მოსთხოვა საქმის მასალების დაბრუნება და ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტა, რადგან უკმაყოფილო იყო ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურებით. ადვოკატმა უარი განუცხადა თავის კლიენტს საქმის მასალების დაბრუნებაზე. ამ შემთხვევაში, დაარღვია თუ არა ადვოკატმა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ნორმა?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ”.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში".

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებული იყო პერიოდულად მიეწოდებინა ინფორმაცია კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის შესახებ მათ მიერ შეთანხმებული დროისა და წესის შესაბამისად და თვითნებურად არ უნდა მოეხდინა ინფორმაციის კლიენტისათვის მიწოდების შეწყვეტა. რაც შეეხება კლიენტის დოკუმენტებს, ადვოკატი ვალდებული იყო მის ხელთ არსებული კლიენტის საქმესთან დაკავშირებული საქმის მასალები კლიენტის მოთხოვნის შემდგომ მისთვის გადაეცა.

დასკვნა:

ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კერძოდ, ადვოკატი და კლიენტი უნდა შეთანხმდნენ ინფორმაციის მიწოდების დროისა და წესის თაობაზე. ასევე, ადვოკატი ვალდებულია უკან დაუბრუნოს კლიენტს საქმის მასალები.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.